შპს „ორთაჭალა 2014“

ს/კ 406122397

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 3

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 4

1. კორპორატიული ინფორმაცია..... 5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი..... 5
3. სააღრიცხვო პოლიტიკა..... 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები..... 11
5. შემოსავალი..... 11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება..... 11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი..... 12
8. ფული და ფულის ექვივალენტები..... 12
9. სავაჭრო მოთხოვნები..... 13
10. გადახდილი ავანსები..... 13
11. მარაგები..... 13
12. ძირითადი საშუალებები..... 13
13. სავაჭრო ვალდებულებები 13
14. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ..... 13
15. გრძელვადიანი ვალდებულებები..... 13
16. სხვა ვალდებულებები..... 14
17. საკუთარი კაპიტალი..... 14

შპს "ორთაჭალა 2014"

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	2018	2017
ნეტო ამონაგები		**6,587,228**	**5,352,200**
მომსახურების გაწევიდან	5	29,947	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	5	6,520,414	5,352,200
სხვა	5	36,867	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		**-1,755,359**	**-2,409,875**
საწყისი მარაგები		-2,710,208	-2,453,351
მარაგების შესყიდვა	6	-269,979	-1,228,464
გადამუშავების დანახარჯები	6	-686,975	-1,438,268
საბოლოო მარაგები		1,911,803	2,710,208
საერთო მოგება		**4,831,869**	**2,942,325**
დასაქმებულთა ანაზღაურება	7	-183,358	-344,164
ცვეთა და ამორტიზაცია	7	-6,908	-6,908
საპროცენტო შემოსავალი:	7	20,805	
იჯარის ხარჯი	7	-16,090	-15,900
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	-178,876	-74,588
სულ საოპერაციო ხარჯები		**-364,427**	**-441,560**
საოპერაციო მოგება		**4,467,442**	**2,500,765**
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,736,205	-764,560
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		4,467,444	2,500,765
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**6,203,649**	**1,736,205**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია

მიხეილ მენთეშაშვილი
დირექტორი

შპს "ორთაჭალა 2014"

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	4,174,591	695,639
სავაჭრო მოთხოვნები	9	12,312	425,861
გადახდილი ავანსები	10	58,431	298,503
მარაგები	11	1,911,803	2,710,208
სხვა მიმდინარე აქტივები	11	970,575	1,463,620
ძირითადი საშუალებები	12	14,944	21,853
სულ აქტივები		**7,142,656**	**5,615,684**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	15,329	18,018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14	6,111	13,288
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15		2,291,968
სხვა ვალდებულებები	16	917,567	1,556,205
სულ ვალდებულებები		**939,007**	**3,879,479**
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	17	1,065,000	1,065,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	5,138,649	671,205
სულ საკუთარი კაპიტალი		**6,203,649**	**1,736,205**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,142,656**	**5,615,684**

1. **კორპორატიული ინფორმაცია**

ორთაჭალა 2014 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2014 წლის 25 ივნისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406122397.

ძირითადი საქმიანობა კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გულიას ქ. 4

კომპანიის მეწილეები ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია თამარა გაბრიელაშვილი, 50%-იანი წილის მფლობელია გიორგი მენთეშაშვილი.

2. **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.** ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პედიოდს

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ". კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2017

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 1 იანვრის , 2016 წლის 31 იანვრის, 2017 წლის 31 იანვრის და 2018 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, სრული შემოსავლების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

კომპანიამ 2016 წელი დახურა ზარალით. მიმდინარე წელს კომპანიამ გაწია მხოლოდ სამშენებლო და ადმინისტრაციული ხარჯები, ხოლო რეალიზაცია დაიწყო 2017 წლიდან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარის არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოქმნილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხოციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2016 წლის 1 იანვარს, 2016 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2016 წლის 1 იანვარი	2,3949	2,6169
2016 წლის 31 დეკემბერი	2,6468	2,7940
2017 წლის 31 დეკემბერი	2,4922	3,1044
2018 წლის 31 დეკემბერი	2,6766	3,0701

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მომსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან

ნაკლებ პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კვალიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივი.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ივსება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეული აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირიადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება, კომუნალური სისტემების მოწყობის ხარჯები, ფართების რეგისტრაციის ამონაწერების მომზადების ხარჯები, მშენებლობისთვის აღებული კრედიტზე დარიცხული პროცენტი, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1855მ2 და მასზე არსებული მშენებლობა (მიწა გაყიდულ ფართებს მიყვება შესაბამისი პროპორციით)

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურებისვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა	5-10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხი(დოლარში) აღიარებულია რეალური ღირებულებით შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით ლარში.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებული ღირებულების გადასახადი კომპანია გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე ფართებისა და ავტოფარეხების რეალიზების ნაწილში. სხვა გაყიდვებთან და მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, როდესაც ხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან გათავისუფლებულია დღგ-ით ჩათვლის უფლებით, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო

კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული ფართებიდან (კვადრატული მეტრი) მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ხდება რეალიზებული ფართების (კვადრატული მეტრი) გადაფორმება მყიდველზე.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. **აქტივი მიმდინარეა**, თუ:

მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის,მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში. ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის და მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში. არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისშემდეგ. სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

5. შემოსავალი

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან - შენობის დასუფთავებისთვის და კომუნალური გადასახადებისთვის მყიდველების შემონატანები:

2018წელი 29,947 ლარი 2017 წელი 0 ლარი

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან - საცხოვრებელი ფართების და ავტოფარეხების რეალიზაციიდან

2018 წელი 6,520,414 ლარი 2017 წელი 5,352,200 ლარი

სხვა შემოსავალი - მეორადი სამშენებლო მასალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

2018 წელი 36,867 ლარი 2017 წელი 0 ლარი

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

მარაგების შესყიდვა:

მასალების შეძენა
2018 წელი 230,809 ლარი 2017 წელი 1,079,743 ლარი

კომუნალური სისტემების მოწყობა
2018 წელი 36,395 ლარი 2017 წელი 141,306 ლარი

ამონაწერების მომზადება საჯარო რეესტრში
2018 წელი 2,775 ლარი 2017 წელი 7415 ლარი

გადამუშავების დანახარჯები:

სამშენებლო მუშახელის ხელფასი
2018 წელი 193929 ლარი 2017 წელი 925,855 ლარი

მშენებლობის კრედიტზე დარიცხული პროცენტი
2018 წელი 224,813 ლარი 2017 წელი 253,538 ლარი

არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1855 მ2 და მასზე არსებული მშენებლობა
2018 წელი 268233 ლარი 2017 წელი 258,875 ლარი

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

დასაქმებულთა ანაზღაურება - ადმინისტრაცია და ოფისის თანამშრომლები
2018 წელი 183,358 ლარი 2017 წელი 344,164 ლარი

ცვეთა - ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა
2018 წელი 6,908 ლარი 2017 წელი 6,908 ლარი

საპროცენტო შემოსავალი - ბანკში ვადიან ანაბარზე განთავლებული ფულადი სახსრებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი
2018 წელი 20,805 ლარი 2017 წელი 0 ლარი

იჯარის ხარჯი - ოფისის იჯარა
2018 წელი 16,090 ლარი 2017 წელი 15,900 ლარი

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი
2018 წელი 178,876 ლარი 2017 წელი 74,588 ლარი

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფული სალაროში	2018 წელი 490 ლარი	2017 წელი 28,281
ეროვნული ვალუტა ბანკში	2018 წელი 37,622	2017 წელი 143,236
უცხოური ვალუტა ბანკში	2018 წელი 4,136,479	2017 წელი 524,121

9. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები რეალიზაციიდან 2018 წელი 12,312 2017 წელი 425,861

10. გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2018 წელი 58,431 2017 წელი 298,503

11. მარაგები

საბოლოო მარაგი

მასალები
2018 წელი 17,368 ლარი 2017 წელი 255,375 ლარი

დაუმთავრებელი წარმოება
2018 წელი 1,894,435 ლარი 2017 წელი 2,454,833 ლარი

სხვა მიმდინარე აქტივები
მშენებლობის კრედიტზე დარიცხული პროცენტი
2018 წელი 432,682 ლარი 2017 წელი 657,495 ლარი

არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1855 მ2 და მასზე არსებული მშენებლობა
2018 წელი 537,893 ლარი 2017 წელი 806,125 ლარი

12. ძირითადი საშუალებები

ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა
2018 წელი 14944 ლარი 2017 წელი 21,843 ლარი

13. სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ
2018 წელი 15,329 ლარი 2017 წელი 18,018 ლარი

14. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

თანამშრომლებზე ასანაზღაურებელი ხელფასი
2018 წელი 6,111 ლარი 2017 წელი 13,288 ლარი

15. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

მშენებლობისთვის აღებული კრედიტი
2018 წელი 0 ლარი 2017 წელი 2,291,968 ლარი

16. სხვა ვალდებულებები

მიღებული ავანსები
2018 წელი 898,524 ლარი 2017 წელი 1,531,805 ლარი

სამშენებლო მუშახელზე ასანაზღაურებელი თანხა

2018 წელი 17,924 ლარი 2017 წელი 23,546 ლარი

ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ

2018 წელი 1,119 ლარი 2017 წელი 854 ლარი

17. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი - 1065000 ლარი, რომლის გაზრდა ან შემცირება არ მომხდარა კომპანიის დაარსებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გაუნაწილებელი მოგება - დივიდენდის გამოცხადება და გაცემა არ მომხდარა კომპანიის დაარსებიდან 2018 წლის 31 დეკემბლის ჩათვლით.